იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მოქმედების ფარგლები

ირაკლი აბაშიძე
სტუ-ს დოქტორანტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში **„იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მოქმედების ფარგლები“** განხილულია საკითხი პროცესის ცალკეული სუბიექტების საქმიანობის მიმართულებებსა და მათ მიერ იმუნიტეტის გამოყენების მნიშვნელობაზე. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მათ მიერ იმუნიტეტის გამოყენებითა თუ გამოუყენებლობით გამოწვეული შედეგების დადებით და უარყოფით მხარეებზე. გარკვეული ყურადღება დაეთმო მართლმსაჯულებისა და მოქალაქის ინტერესების შეფარდებით იმუნიტეტით მოსარგებლე ზოგიერთი პირის მიერ ჩვენების მიცემის ვალდებულებასა და მისგან განთავისუფლების საკითხს. საუბარია ამ კუთხით სისხლის სამართლის პროცესში გამოვლენილ დღეისათვის არსებულ ნაკლოვანებებზე და მისი აღმოფხვრის გზებზე.

IMMUNITY IN CRIMINAL PROCEEDINGS AND ITS SCOPE

Irakli Abashidze
Phd suddent of GTU,
Assistant Professor of Batumi Shota Rustaveli
State University

RESUME

In the presented article "Immunity in the Criminal Process and its Scope of Action," the issue of the directions of activity of individual subjects and the importance of their use of immunity is discussed. The main focus is on the positive and negative sides of the consequences caused by their use or non-use of immunity. Some attention was paid to the obligation to give evidence and exemption from it by some persons enjoying immunity about justice and citizen's interests. In this regard, we are discussing the current shortcomings in the criminal justice process and ways to eliminate them.

* * * *

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში თითოეული განვითარებული და მოწინავე სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია თავისი მოქალაქის ფუნდამენტური უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა განუხრელი დაცვა, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის მკაფიო გამოხატულებაა. აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალური და პრიორიტეტული თემაა ასევე საქართველოს სახელმწიფოსთვისაც, რომელიც, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, მაქსიმალურად ორიენტირებულია თავისი მოქალაქის უფლებების დაცვასა და დღესაც აქტიურად მუშაობს სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმის შემუშავებაზე. თუმცა უკვე არსებული მექანიზმები საკმაოდ ეფექტურია და მკაფიოდ არის გაწერილი საქართველოს კონსტიტუციაში, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა თუ სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში, სადაც მოქალაქისა და მართლმსაჯულების ინტერესების შეფარდებით უპირატესობა ენიჭება მოქალაქის ინტერესებს.

ერთ-ერთი ასეთი სამართლებრივი მექანიზმი გახლავთ **იმუნიტეტი,** რომელიც განსაკუთრებული საპროცესო პრივილეგია და უმნიშვნელოვანესი მექანიზმია სხვადასხვა სამართლებრივი პროცედურისაგან თავის დასაცავად. იგი უძველესი დროიდან იღებს სათავეს და მისი, როგორც იურიდიული ინსტიტუტის წარმოშობა, დაკავშირებულია რომის სამართალთან, რომელშიც იგი პირველად განმტკიცდა, როგორც რესპუბლიკის იმპერატორის ან თემის სენატისაგან ცალკეული პირებისათვის, ან კატეგორიისათვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლება, საზოგადოებრივი მოვალეობისაგან გათავისუფლება. ქართულ საკანონმდებლო სივრცეში კი იმუნიტეტი 1995 წლიდან გამოჩნდა. მან ჯერ საქართველოს კონსტიტუციაში დაიმკვიდრა თავისი ადგილი, ხოლო შემდეგ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შემოიღეს და დასავლეთ ევროპისა თუ საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების საკანონმდებლო სისტემების მსგავსი სახე მიიღო: „არავინ არ არის ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამ კოდექსით.“[1] ამავდროულად განისაზღვრა თუ ვინ შეიძლება სარგებლობდეს ამ უფლებით და შეიქმნა ამ პირთა ჩამონათვალი,[2] რომლის შექმნაც განპირობებულია იმით, რომ ამა თუ იმ პირის მიერ ამ

1 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი. თბილისი 2023 წელი.(ამჟამინდელი რედაქცია).

2 იქვე 50-ე მუხლი.

უფლებით სარგებლობა და მათთვის უპირატესობის მინიჭება დამოკიდებულია სამართალწარმოებაში კანონით მინიჭებულ საპროცესო სტატუსსა თუ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ მიერ დაკავებულ სხვადასხვა თანამდებობრივ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამართალწარმოებაში მხოლოდ გარკვეული კატეგორიის პირები სარგებლობენ იმუნიტეტით, რომელიც თანამედროვე გაგებით წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან "immunitas" და რაღაცისაგან გათავისუფლებას, რაიმესაგან თავის დახსნას ნიშნავს.[3]

თავისი არსით და მნიშვნელობით იმუნიტეტი საკმაოდ აქტუალური საკითხია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. მისი მიზანია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი კანონმდებლობით განსაზღვრული სუბიექტების საქმიანობის ეფექტურად და დაუბრკოლებლად განხორციელებას. ამავდროულად უზრუნველყოფს მათ პირად ხელშეუხებლობასა და უფლებას - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავისა და სხვა პირთა წინააღმდეგ, თუმცა ის არ არის აბსოლუტური, რადგან მოქცეულია გარკვეულ ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან სრულად და მისი მოქმედება გარკვეულ დროსა და გარემოებების არსებობას უკავშირდება. ის დროებითი მექანიზმია და არ არის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი.

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია კანონმდებელმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მკაფიოდ განსაზღვრა თუ ვინ შეიძლება სარგებლობდეს ამ უფლებით და ხელშეუხებლობის დაცვის მექანიზმებთან ერთად, დეტალურად გაწერა ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან მათი გათავისუფლების კონკრეტული გარემოებანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევებში მაინც არ საუბრობს, გადაჭრით იმაზე ვრცელდება თუ არა იმუნიტეტი კანონმდებლობით განსაზღვრულ რომელიმე სუბიექტზე და რამდენად არის ვალდებული მისცეს ჩვენება იმ შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ბევრად აღემატება მოქალაქის ინტერესებს. ამასთან იგი ზღვარს არ ავლებს მოქალაქისა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის. გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონი, ერთი მხრივ, პირს ანიჭებს ხელშეუხებლობის უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, არ აღჭურავს მას ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით და ყველაფერი ამის გათვალისწინებით იმუნიტეტით მოსარგებლე პირთა ჩამონათვალი არასრულყოფილია. ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად კი შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

1. როგორც ვიცით, ადვოკატი სისხლის სამართალწარმოების დროს იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას[4]. იგი მოქმედებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და ხანგრძლივი დროის მიუხედავად, იცავს დასაცავი პირისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რომელშიც მას ხელს უწყობს იმუნიტეტი, რომელიც სრულად ათავისუფლებს ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან. თუმცა საინტერესოა თუ რამდენად გამართლებულია იმუნიტეტის გავრცელება და კონფიდენციალურობის დაცვა იმ შემთხვევაში, როცა **მაგალითად საქმე ეხება ტერორისტული აქტის, ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ იურიდიული დახმარების გაწევის დროს დასაცავი პირისაგან მიღებული ინფორმაციის შინაარსს.** [5]

ეს საკითხი ბევრისთვის საკამათოა, რადგან სასწორის ერთ პინაზე დევს ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მოქალაქის ინტერესებშია, ხოლო მეორე პინაზე - მართლმსაჯულების ინტერესები, რომელიც ბევრად აღემატება მოქალაქის ინტერესებს. ცხადია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხშირ შემთხვევაში მართლმსაჯულების ინტერესები აღემატება მოქალაქეთა ინტერესებს ან კიდევ ჩვენების მიცემით შესაძლებელია უფრო დიდი მატერიალური სიკეთის გადარჩენა, მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოს მუშაკთა გარკვეულმა ჯგუფმა შესაძლებელია მართებულად მიიჩნიოს ადვოკატის მიერ ჩვენების მიცემა, როგორც ვალდებულების თვალსაზრისით, ისე თავისი ნება-სურვილით. ასევე, არც ისაა გამორიცხული, რომ იურისტთა გარკვეული ნაწილისათვის ინფორმაციის კონფიდენციალურობა და საიდუმლოების დაცვა იყოს უფრო პრიორიტეტული და მიუღებლად მიაჩნდეს ადვოკატის დაკითხვა.[6]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც გვქონდა მსჯელობა, სადაც ხაზგასმით ვამბობდით, რომ ორივე შემთხვევაში კატეგორიულად გამორიცხულია ადვოკატის დაკითხვა, რამეთუ ეს გამოიწვევს კონფიდენციალურობის დარღვევას და საფრთხეს შეუქმნის დაცვის ინსტიტუტს.[7] თუმცა ამ წლების განმავლობაში საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, საგამოძიებო და

3 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 5... თბილისი 1980 წელი. 123

4 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი. თბილისი 2023 წელი.(ამჟამინდელი რედაქცია).

5 .ი.აბაშიძე „ადვოკატის იმუნიტეტის ფარგლები" ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის შრომები. მეოთხე გამოცემა. ბათუმი 2012 წელი. გვ.210

6 იხ. იქვე გვ 213.

7 იხ. იქვე გვ 214.

სასამართლო პრაქტიკამ, საშუალება მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა ადვოკატის მიერ ჩვენების მიცემისა თუ მასზე უარის თქმის საკითხი.

საქმე ის გახლავთ, რომ უკანასკნელ წლებში კანონმდებელმა დაუშვა გარკვეული გამონაკლისები და რიგ შემთხვევაში შესაძლებელი გახადა იმუნიტეტით მოსარგებლე ზოგიერთი პირის დაკითხვა. ერთ შემთხვევაში საუბარია ადვოკატზე, რომელიც ვალდებულია - „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ან ადვოკატთა ასოციაციას[8], ხოლო მეორე შემთხვევაში მედიაციის მონაწილეზე, რომელიც „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით

გათვალისწინებულ შემთხვევაში ვალდებულია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიების მიზნით.[9]

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელმა ეს გადაწყვეტილება მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო და პრიორიტეტიც სწორედ მას მინიჭა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუკი შესაძლებელია მედიაციის მონაწილის დაკითხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიების მიზნით, რატომ არ შეიძლება ადვოკატის დაკითხვა, მაგალითად, ტერორისტული აქტის ან სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიების დროს, ან რით შეიძლება აიხსნას მისი დაკითხვა მხოლოდ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე? ცხადია, ყოველივე ეს კანონმდებლობის ხარვეზია და მიგვაჩნია, რომ უნდა აღმოიფხვრას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მოქალაქეთა და მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებითა და ერთმანეთთან შეფარდებით უნდა შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლში და მკაფიოდ გაიწეროს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე ადვოკატის მიერ მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების მიზნის მიღწევას და შემდგომში აღარ წარმოშობს მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოსი მუშაკების დავას ამა თუ იმ დანაშაულებებთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ ჩვენების მიცემის ვალდებულებისა თუ მისგან გათავისუფლების საკითხზე.

2. მოგეხსენებათ, რომ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად სხვადასხვა სახის ინფორმაციის მატარებელი არაერთი მოწმე იკითხება, რომელთაგან ზოგიერთი ბრალდებულის ახლო ნათესავია. სწორედ ამიტომ კანონმდებელმა მიიღო საკმაოდ სწორი გადაწყვეტილება და თავისი სტატუსისა და ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან სრულად გაათავისუფლა ბრალდებულის ახლო ნათესავები, რომელთა შორისაც სხვა პირებთან ერთად მოიაზრება ბრალდებულის მეუღლე (მათ შორის განქორწინებული). ცხადია, ეს გადაწყვეტილება კარგია და მისასალმებელია, მაგრამ აღნიშნული ნორმა ეხება მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს და არ ითვალისწინებს არარეგისტრირებულ (ფაქტობრივ) ქორწინებაში მყოფ პირებს, რაც, ჩემი აზრით, სრულიად მიუღებელია, რადგან კანონმდებლის მხრიდან ადგილი აქვს უთანასწორო, უსამართლო მოპყრობას. საქმე ის გახლავთ, რომ ფაქტობრივ ქორწინებას, რომლის მიზანი სწორედ ოჯახის შექმნაა, ახასიათებს ყველა ნიშანი, რაც რეგისტრირებულ ოჯახებს გააჩნია[10]. არარეგისტრირებულ (ფაქტობრივ) ქორწინებაში მყოფი პირი ანუ **მეუღლე** რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მსგავსად წლების განმავლობაში ეწევა ოჯახურ მეურნეობას და ჰყავთ საერთო შვილები. ერთდერთი ნიშანი, რაც ფაქტობრივ ქორწინებას განასხვავებს რეგისტრირებული ქორწინებისაგან, არის სამართლებრივი მხარე.[11] რადგან სამართლებრივი მხარე ვახსენეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ რეგისტრირებულ და ფიქციურ (რეგისტრირებული) ქორწინებას შორის გადამწყვეტია არა სამართლებრივი მხარე, არამედ ოჯახის შექმნის მიზანი, რომელიც ფიქციურ ქორწინება საერთოდ არ ახასიათებს.

აქვე მიუღებელი და გაუგებარია ის ფაქტიც, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი რიგ შემთხვევაში ითვლება ოჯახის წევრად[12] და არ მოიაზრება ახლო ნათესავად.[13] საინტერესოა რატომ არ შეიძლება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი ჩაითვალოს ახლო ნათესავად, მაშინ როდესაც იგი ითვლება ოჯახის წევრად. რო-

8 საქართველოს კანონი "ადვოკატთა შესახებ" მე-5 მუხლის „ზ“ პუნქტი თბილისი 2001.

9 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლი. თბილისი 2023 წელი.(ამჟამინდელი რედაქცია).

10 ლ.აბრამიშვილი, ა.გუგავა „ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი“ ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3 გვ-36.

11 იქვე გვ-36.

12 .საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 11¹ მუხლი.თბილისი 2023 წელი ამჟამინდელი რედაქცია.

13 .საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 109 მუხლი.თბილისი 2023 წელი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი. თბილისი 2023 წელი.(ამჟამინდელი რედაქცია).

გორც ჩანს, კანონმდებელმა თავის დროზე არ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებები ან ცალსახად უარი თქვა მათზე და მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს მიანიჭა უპირატესობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ხსენებული საკითხი კანონის ერთგვარი ხარვეზია და აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. კერძოდ, უნდა შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლში და ამ კოდექსის მიზნებისათვის ახლო ნათესავების ჩამონათვალში ტერმინ მეუღლესთან მიმართებით რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ **მეუღლესთან** ერთად „მათ შორის განქორწინებულის" მსგავსად ჩაიწეროს ასევე **არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლების განმავლობაში ერთობლივად ეწევა ოჯახურ მეურნეობას და ჰყავთ საერთო შვილები.** ეს კი, თავის მხრივ, სრულად აღმოფხვრის არსებულ გაუგებრობას და შემდგომში ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს შორის არ გამოიწვევს არანაირ დავას.

3. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც საგარეო ურთიერთობის ზოგადი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს უზენაესი წარმომადგენლობა აკისრია.[14] მასზე დაკისრებული ამ საპასუხისმგებლო ფუნქციის წარმატებით შესასრულებლად პრეზიდენტს გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული დაუბრკოლებლად მოქმედების მყარი გარანტია ანუ ხელშეუხებლობის იმუნიტეტი და გამოიხატება მასში, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა (საქართველოს კონსტიტუციის 75–ე მ. პირველი ნაწ.). იმუნიტეტი განისაზღვრება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით და მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, მისი თანამდებობიდან გადაყენებამდე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თვალსაზრისით ის აბსოლუტურად ხელშეუხებელი ფიგურაა. საყურადღებო და საინტერესოა ის ფაქტი, რომ კანონმდებლობაში პრეზიდენტის იმუნიტეტთან დაკავშირებით საუბარია მხოლოდ ხელშეუხებლობაზე და არაფერია ნათქვამი ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან მისი გათავისუფლების თაობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ **იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პრეზიდენტს, ის ვერ დაიცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას და ვალდებულია მისცეს ჩვენება.**

ჩემი აზრით, კანონმდებლის ამგვარი მიდგომა ერთი შეხედვით არასწორი და ყოვლად მიუღებელია, რადგან პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, თავისი საქმიანობის ეფექტურად და დაუბრკოლებლად განხორციელების მიზნით ხელშეუხებლობის გარანტიებთან ერთად უნდა ჰქონდეს კონფიდენციალობის დაცვის საშუალება, რაც ჩვენების მიცემისაგან სრულად გათავისუფლებაში გამოიხატება. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ აუცილებლად უნდა შევიდეს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლში და იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით, უნდა დაემატოს პრეზიდენტი.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იმუნიტეტი თავისი არსითა და სოციალური დანიშნულებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმია კანონმდებლობით განსაზღვრული სუბიექტის მიერ კონფიდენციალურობის დაცვისა და პროფესიული საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის, როგორც კონკრეტული პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ისე მის შემდგომ პერიოდშიც. იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესებისა და სისხლის სამართალწარმოების პროცესში მონაწილე ცალკეული სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განუხრელ დაცვას. ამასთან აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ამ კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ს მე-15 მუხლი. თბილისი 2023 წელი. (ამჟამინდელი რედაქცია).

2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 5... თბილისი 1980 წელი.

3. ი. აბაშიძე „ადვოკატის იმუნიტეტის ფარგლები" ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის შრომები. მეოთხე გამოცემა. ბათუმი 2012 წელი.

4. საქართველოს კანონი "ადვოკატთა შესახებ" მე-5 მუხლის „ზ" პუნქტი თბილისი 2001.

5. ლ.აბრამიშვილი, ა.გუგავა „ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი" ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" №3 გვ-36.

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. .თბილისი 2023 წელი ამჟამინდელი რედაქცია.

7. ლ.ალექსიძე. თანამდეროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2010 წელი.

14 .ლ.ალექსიძე. თანამდეროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2010 წელი. გვ–166.